საინტერესო თამაში დაძაბული სიუჟეტით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 15 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ჩერნომორეცი” (ოდესა) 3:3 (0:0).

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, მიქაბერიძე, გუცაევი, ზედანია (გურული. 77), შენგელია.

“ჩერნომორეცი”: გრიშკო, რომანჩუკი, კოვაჩი, იშჩაკი, პლოსკინა, ნაკონეჩნი, სპიცინი, შჩერბაკოვი (ფინკი. 17), ბაგაპოვი (პასულკო. 46), იურჩენკო, მოროზოვი.

გოლები: მოროზოვი – 53–ე წთ., პასულკო, 73–ე წთ., კაკილაშვილი 54 – ე წთ., კეტაშვილი 75–ე წთ., სვანაძე 79–ე წთ., პასულკო 85–ე წთ., პლოსკინა 87–ე წთ.

მსაჯი: ვადიმ ჟუკი (მინსკი).

შეცვლები: 17 –ე წთ. შჩერბაკოვის ნაცვლად ფინკი, 46 –ე ბაგაპოვის ნაცვლად პასულკო, 77 –ე წთ. ზედანიას ნაცვლად გურული.

გააფრთხილეს ჭედია

კარში დარტყმა – 9:13 (4:3), ზუსტი დარტყმა – 6:6 (3:1), საჯარიმო მოედნიდან – 4:7 (2:0).

კუთხური – 5:1 (4:0).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 6–ჯერ, ოდესელები 10 () ჯერ.

საკავშირო ჩემპიონატის წინა კალენდარულ მატჩში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო ოდესის “ჩერნომორეცთან” შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ალექსანდრე ჩივაძემ და თენგიზ სულაქველიძემ. ცალ–ცალკე თითოეული მათგანის არყოფნა დღევანდელი „დინამოსთვის“ საკმაოდ დიდი დანაკლისია , ხოლო როცა ერთად ორი ლიდერის შეცვლა ხდება სირთულეები, ცხადია, მატულობს. ყოველივე ეს მატჩის დაწყებისთანავე ნათელი იყო, თვით მისმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა ვერ შეძლეს რაიმე დასამახსოვრებელი მომენტების შექმნა. მატჩი საშუალო ტემპში მიმდინარეობდა, რაც საშუალებას აძლევდა მცველებს დროულად დაეკავებინათ თავიანთი ადგილები და თავდამსხმელთა იერიშები მოეგერიებინათ. თუმცა მაინც არც თავდამსხმელები აქტიურობდნენ. მასპინძლებმა პირველად მე 15–ე წუთზე „სცადეს ბედი“: კაკილაშვილმა ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და დაახლოებით 18 მეტრიდან დაარტყა – გრიშკო ადგილზე დაუხვდა ბურთს. ათი წუთის შემდეგ ოდესელთა მეკარემ შენგელიას დარტყმა მოიგერია, ტაიმის მიწურულს კი სვანაძეს საკმაოდ სახიფათო შეტევა უვნებელყო. შესვენებამდე აღნიშვნის ღირსი აღარაფერი მომხდარა.

უგოლოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მეორე 45 წუთში მაყურებელი ექვსი გატანილი ბურთის და ერთი გამოუყენებელი 11–მეტრიანი დარტყმის მოწმე გახდებოდა. 3:3 – ამ ანგარიშით დამთავრებული მატჩები, როგორც წესი, გამოირჩევა დაძაბულობით, დრამატული სიტუაციებითა და საინტერესო სიუჟეტით. თუ სიუჟეტში გოლების თანმიმდევრობას ვიგულისხმებთ, დაძაბულობასა და ინტერესს არც საანგარიშო შეხვედრა გახლდათ მოკლებული. 0:1, 1:1, 2:1, 3:1, 3:2, 3:3 – მატჩის ასეთი მსვლელობა თითქოს უკვე თავისთავად გულისხმობს მიმზიდველობასაც, სილამაზესაც და, თუ გნებავთ, იგივე დრამატულობასაც. მაგრამ გუშინწინდელ შეხვედრას, სამწუხაროდ, ვერც ლამაზს უწოდებ და ვერც მიმზიდველს. თბილისელებმა საოცრად იოლად დათმეს მოპოვებული ორგოლიანი უპირატესობა და სულ რაღაც ხუთ წუთში (83–დან 87–ე

წუთამდე) საშუალება მისცეს მეტოქეს ორი ბურთი გაეტანა და კიდევ ერთი პენალტი დაერტყა გაბელიას კარში. მას შემდეგ რაც მოროზოვმა და კაკილაშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში თითოჯერ მიაღწიეს წარმატებას და ტრიბუნებზე ერთგვარი გამოცოცხლება გამოიწვიეს, თამაში კვლავ მშვიდად გაგრძელდა – გადამწყვეტ იერიშებზე გადასვლას არცერთი გუნდი ესწრაფოდა და არც მეორე. ასე გაგრძელდა დაახლოებით ოც წუთს სანამ კეტაშვილის ძლიერმა, ზუსტმა დარტყმამ თბილისელები დააწინაურა. 79–ე წუთზე ლამაზი გოლი გაიტანა სვანაძემ. ჭედიამ იგი ზუსტი გადაცემით გაიყვანა გარღვევაზე, სვანაძე მიუახლოვდა საჯარიმო მოედნის მარჯვენა კუთხეს და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი კარიდან წინ გამოსულ გრიშკოს.

იმ მომენტისათვის, როცა ოდესელებმა მოედნის ცენტრიდან განაახლეს თამაში, თამაშის დამთავრებას ათი წუთი აკლდა. ფეხბურთის გულშემატკივარი უამრავ ისეთ შემთხვევას გაიხსენებს, ერთ გუნდს დროის მცირე მონაკვეთში მეტოქის ორ– და სამგოლიანი უპირატესობა გაუბათილებია. მაგრამ ის რაც თბილისის “დინამოსა” ოდესის “ჩერნომორეცის” შეხვედრის ბოლო ათ წუთში მოხდა, ვფიქრობ, მთლიანად მასპინძელთა პასივში უნდა ჩაიწეროს. სტუმრებმა მხოლოდ გამოიყენეს ის ასპროცენტიანი საგოლე მომენტები, რომლებიც მათ მეტოქის მცველთა დაუდევარმა თამაშმა შეუქმნა. თუმცა პოსულკომ 81–ე წუთზე მოახერხა 11–მეტრიანის გაფუჭება, მაგრამ ორი წუთის შემდეგ მანვე გამოასწორა თავისი შეცდომა და მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ხოლო 87–ე წუთზე, როცა მასპინძლებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს წესი საკუთარ საჯარიმოში, წონასწორობა აღდგა. პენალტი ამჯერად პლოსკინამ შეასრულა.

დავით კაკაბაძე

17 ნოემბერი, 1985 წ.